გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 160

2023 წლის 8 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.50.01.407 ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართის, ფ/პ ნათია გალეგაშვილისთვის (პ/ნ 59001107587) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 14 ივნისს (№ 19/202316527-20) შემოსულია ფ/პ ნათია გალეგაშვილის (პ/ნ 59001107587) განცხადება, რომელშიც მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით, იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან დაახლოებით 11 კვ.მ ფართი.
აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 14 აგვისტოს N 256-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.50.01.407, დაზუსტებული ფართობი-2489.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან (საერთო ფართი - 175.50 კვ.მ) – 11.39 კვ.მ, (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიცი), უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 7600 (შვიდიათას ექვსასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო

საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ნათია გალეგაშვილს (პ/ნ 59001107587).

2. ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 7600 (შვიდიათას ექვსასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ გადაეცემა მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე